თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8169121

ნომერი: AR11168464

თარიღი : 05.11.2026

გაცემის თარიღი : 19.11.2026

გაცნობის თარიღი : 20.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მურმან ლებანიძის ქუჩა, N 6ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გვაძაბია პ/ნ 19001091681
- თბილისი ს. დიღომი ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. N 74 დამხმარე ფართი 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში (სექტორი – დიდუბე), მურმან ლებანიძის ქუჩა N6ა-ში არსებულ შენობაზე ,,სელფი მობაილის'' კავშირგაბმულობის ანტენებისა და აპარატურის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 01.13.07.023.033; 01.13.07.023.033წ. საკადასტრო კოდი N01.13.07.023.033, ჰიგიენური დასკვნა პროექტზე N26/236, 05 ნოემბერი, 2026წ; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი და განთავსების სქემა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქალაქ თბილისში (სექტორი - დიდუბე), მურმან ლებანიძის ქუჩა N6ა-ში არსებულ შენობაზე „სელფი მობაილის“ კავშირგაბმულობის ანტენებისა და აპარატურის განთავსების შესაძლებლობას.

• რადიოსადგურის მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

• გათვალისწინებული და დაცული იქნეს ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები;

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.